განკარგულება:**g-87. 87241857**
თარიღი:**03/07/2024**

განკარგულება №32

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 59 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე)“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საკრებულოს აიტი სპეციალისტი - 1.“

2. განკარგულება გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი